USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №48
სექტემბერი, 2023

თბილისი, 2023

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ნიკა ოდიკაძე

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №48 ბიულეტენს. მასში აღწერილია სექტემბერში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. „ქართულმა ოცნებამ" პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დააანონსა

1-ელ სექტემბერს „ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ პარტიაში გადაწყვეტილება მიიღეს საქართველოს პრეზიდენტის მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებასთან დაკავშირებით.[1] მისი განმარტებით, პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუციური დანაწესი, რომელიც მას საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებამდე მთავრობის თანხმობის მიღებას ავალდებულებდა.[2]

კობახიძის შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია, რომ „საქართველო შარშან არ იმსახურებდა კანდიდატის სტატუსის მიღებას და ქვეყნის პარლამენტი და მთავრობა ახლაც მხოლოდ ფორმალურად ასრულებენ ევროკავშირის მოთხოვნებს",[3] ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის მიდგომებს და კონტრპროდუქტიულია კანდიდატის სტატუსის მიღების თვალსაზრისით.[4]

კობახიძემ ასევე განმარტა, რომ იმპიჩმენტის პროცედურის სისრულეში მოყვანას 100 დეპუტატის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა, შესაბამისად, ოპოზიციის მხარდაჭერის გარეშე მას აღსრულების პერსპექტივა არ ჰქონდა.[5]

აღნიშნულს წინ უძღოდა 30 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ქვეყნის ევროინტეგრაციის მხარდასაჭერად პრეზიდენტის მიერ დაგეგმილ ვიზიტებთან დაკავშირებით და საქართველოს მთავრობის პასუხი, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობას ამ ვიზიტთან დაკავშირებით 12 ივლისს მიმართა, რაზეც, მთავრობის განკარგულებით, 3 აგვისტოს ოფიციალური, წერილობით უარი მიიღო.[6]

ვიზიტებზე მთავრობის უარის და დაანონსებული იმპიჩმენტის მიუხედავად, სალომე ზურაბიშვილმა განაგრძო დაგეგმილი ვიზიტები და 1-ელ სექტემბერს ბრიუსელში ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს შეხვდა.[7] ერთი დღით ადრე ზურაბიშვილი გერმანიაში თავის კოლეგასთან იმყო-

---

[1] ირაკლი კობახიძის ოფიციალური Facebook-გვერდი, 2023 წლის 1-ლი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/KobakhidzeOfficial/videos/807348157543052/, განახლებულია: 12.10.2023.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] ნიკა ოდიკაძე, „მთავრობის უარი პრეზიდენტის ვიზიტებზე", საინფორმაციო ბიულეტენი №47, 2023 წლის აგვისტო, 6, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/gsTY1, განახლებულია: 12.10.2023.

[7] „სალომე ზურაბიშვილი ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს შეხვდა", ტელეკომპანია „მთავარი არხის" ოფიციალური facebook-გვერდი, 2023 წლის 1-ლი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/TvMtavari/videos/6591768050881026, განახლებულია: 12.10.2023.

ფებოდა ვიზიტით,[8] ხოლო 6 სექტემბერს პარიზში საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან გამართა შეხვედრა.[9]

ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ზურაბიშვილის ვიზიტს სოციალური ქსელის მეშვეობით გამოეხმაურა და პრეზიდენტის მისწრაფება, „ხელი შეუწყოს ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას“, დადებითად შეაფასა.[10] მიშელის განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო მართლმსაჯულების რეფორმის, დეპოლარიზაციის, დეოლიგარქიზაციისა და ინკლუზიური პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების მნიშვნელობა.[11]

პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატ პაატა მანჯგალაძის შეფასებით, „ევროპული კურსის მხარდაჭერის გამო, პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტის დაწყება ნიშნავს პუტინისთვის კიდევ ერთ საჩუქარს“, საიმპიჩმენტო წარდგინებაზე ხელის მოწერა კი ქვეყნის ღალატის ტოლფასი იყო.[12]

იმპიჩმენტის პროცედურის აღძვრას ასევე „პრორუსული“ გადაწყვეტილება უწოდა პარტია „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი კუპრაძემ. მისი შეფასებით, „ქართული ოცნება“ ვერ შეძლებდა პროცედურის დასრულებას.[13]

პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერის, გიორგი გახარიას აზრით, მმართველი პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ევროპული მომავლის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იყო, რომელიც ქვეყანაში რადიკალიზაციის, დაპირისპირების და პოლარიზაციის გაღრმავებას უწყობდა ხელს და პრობლემას უქმნიდა ქვეყანას სტაბილურობას.[14]

არასამთავრობო სექტორმა ხელისუფლების გადაწყვეტილება ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების მისწრაფებაზე თავდასხმად შეაფასა და საქართველოს მთავრობას იმპიჩმენტის პროცედურის შეწყვეტისკენ მოუწოდა.[15]

პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესის წამოწყებას სოციალური ქსელის მეშვეობით გამოეხმაურა გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მაიკლ როტი და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება” ქართველი ხალხის ევროპულ ოცნებას ემუქრებოდა.[16] როტმა სოლიდარობა გამოუცხადა საქართველოს პრეზიდენტს და მას ნამდვილი ევროპელი ლიდერი უწოდა.[17]

პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის მოადგილემ ვედანტ პატელმა ქართველი ხალხის ევროპულ მისწრაფებებს გაუსვა ხაზი და ამ მიზნის მისაღწევად ერთიანობისკენ მოუწოდა.[18] პატელმა განაცხადა, რომ ქა-

---

[8] „საქართველოს პრეზიდენტი გერმანიის პრეზიდენტს შეხვდა“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32572641.html, განახლებულია: 12.10.2023.

[9] იქვე.

[10] „მიშელი დადებითად აფასებს საქართველოს პრეზიდენტის მისწრაფებას, ხელი შეუწყოს ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას“, „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 1-ლი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32574647.html, განახლებულია: 12.10.2023.

[11] იქვე.

[12] „ევროინტეგრაციის საბოტაჟი - საპარლამენტო ოპოზიცია პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას აფასებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 1-ლი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32574196.html, განახლებულია: 12.10.2023.

[13] იქვე.

[14] იქვე.

[15] „ქართული ოცნება“ იმპიჩმენტის გზით ევროინტეგრაციის პროცესს აზიანებს“, „ღია საზოგადოების ფონდის“ ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/deyY3, განახლებულია: 12.10.2023.

[16] „ევროპელი პარტნიორები ეხმაურებიან პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესის დაანონსებას“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 1-ლი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/557578, განახლებულია: 12.10.2023.

[17] იქვე.

[18] „სახდეპი მოუწოდებს მთავრობას და ყველა მონაწილე მხარეს, „გაერთიანდნენ“ კანდიდატის სტატუსისთვის საჭირო რეფორმების განსახორციელებლად“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/557952, განახლებულია: 12.10.2023.

რთველმა ხალხმა ნათლად გამოხატა მომავლის ხედვა და ევროპული ინტეგრაციის სურვილი, რის მისაღწევადაც საჭიროა ევროპელი პარტნიორების მიერ დასახული პრიორიტეტების შესრულება.[19]

2. საქართველო და ევროკავშირი

2.1. სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისრის შეფასებები ევროკავშირის გაფართოებასა და საქართველოს საკითხზე

სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი 13 სექტემბერს გაკეთებულ კომენტარში საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მოპოვების პერსპექტივას შეეხო და განაცხადა, რომ ევროპულმა საბჭომ ძალიან მკაფიოდ განუსაზღვრა საქართველოს სტატუსის მოსაპოვებლად შესასრულებელი პირობები.[20] მისი თქმით, მთავრობამ წარმოდგენილი 12 პრიორიტეტიდან ამ ეტაპზე მხოლოდ 3 შეასრულა.[21] ევროკომისარი იმედოვნებს, რომ „საქართველო შეასრულებს პირობებს, რათა ევროკომისია ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე დადებითი წინადადებით გამოვიდეს“.[22]

ოლივერ ვარჰეიმ 28 სექტემბერს პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ევროკავშირი „რამდენიმე კვირაში“ წარადგენს გაფართოების ახალ პაკეტს, რომელიც არა მხოლოდ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს, არამედ კანდიდატ ან ევროპული პერსპექტივის მქონე ქვეყნებსაც შეეხება.[23] ვარჰეის თქმით, საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ, რუსეთის აგრესიის საპასუხოდ, მაშინვე გამოავლინეს სწრაფვა ევროკავშირის წევრობისკენ, რაც მათი გრძელვადიანი მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის საუკეთესო გარანტია იყო.[24] ევროკომისარმა ასევე ხაზი გაუსვა ქვეყნების მიერ კრიტერიუმების დაკმაყოფილებას და აღნიშნა, რომ გაფართოება დამსახურებაზე დაფუძნებულ პროცესად რჩებოდა.[25]

2.2. ჯოზეფ ბორელის ვიზიტი საქართველოში

7 სექტემბერს საქართველოს ეწვია ჯოზეფ ბორელი, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში.[26] ოფიციალური შეხვედრების დაწყებამდე გამართულ ბრიფინგზე ბორელმა ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების მიმართ ბლოკის მხარდაჭერას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ევროკავშირის კარი ღიაა საქართველოსთვის და ევროკავშირი მზადაა, საქართველოს ამ გზაზე მხარი დაუჭიროს.[27] ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების მიზანი არა ბრიუსელის გულის მოგება, არამედ საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესება იყო.[28]

---

[19] იქვე.
[20] „ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი: „ახლა ყოველი წუთი მნიშვნელოვანია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 14 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/559135, განახლებულია: 12.10.2023.
[21] იქვე.
[22] იქვე.
[23] „ვარჰეი: გაფართოების პაკეტი ევროპული პერსპექტივის მქონე ქვეყნებსაც შეეხება“, საინფორმაციო პორტალი „Civli.ge“, 2023 წლის 29 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/561473, განახლებულია: 12.10.2023.
[24] იქვე.
[25] იქვე.
[26] „საქართველოში ჯოზეფ ბორელის ვიზიტი დაიწყო“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 7 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/saqartveloshi-jozef-borelis-viziti-daiwyo/, განახლებულია: 12.10.2023.
[27] „ჯოზეფ ბორელი: ევროკავშირის კარი ღიაა, მაგრამ კანდიდატის სტატუსს დამსახურება სჭირდება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 7 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/558306, განახლებულია: 12.10.2023, განახლებულია: 12.10.2023.
[28] იქვე.

აღსანიშნავია, რომ ბორელმა, საქართველოში ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე, მხარი დაუჭირა ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის ინიციატივას ევროკავშირის გაფართოებისთვის ვადების დადგენის თაობაზე.[29] შარლ მიშელმა ევროკავშირის გაფართოების აუცილებლობაზე აგვისტოში ბლედის სტრატეგიულ ფორუმზე გამოსვლისას ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2030 წლისთვის ევროკავშირიც და ასპირანტი ქვეყნებიც მზად უნდა იყვნენ გაფართოებისთვის.[30] მნიშვნელოვანია, რომ მიშელმა გაფართოების კონტექსტში საქართველოც ახსენა. მისი თქმით, გასული წლის ივნისში უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიენიჭათ და, აუცილებელი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, იმავე სტატუსს საქართველოც მიიღებს.[31]

ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს 7 სექტემბერს, საღამოს, მთაწმინდაზე, არაფორმალურ ვახშამზე უმასპინძლა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მომდევნო დღეს კი ოფიციალური შეხვედრა გაიმართა, რომელიც ბრიფინგით დასრულდა.[32] ბორელი 8 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს შეხვდა, რომელთანაც ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესი და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები განიხილა.[33]

ბორელმა შეხვედრები გამართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციური პარტიების წევრებთან,[34] ასევე, შეხვდა არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებს.[35]

2.3. „ქართული ოცნება“ ევროკომისიის პირობების შესასრულებლად ღონისძიებებს გეგმავს

უმრავლესობის სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე მმართველი პარტიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ჟოზეფ ბორელთან და ევროკომისიის მაღალი თანამდებობის პირებთან კონსულტაციების შემდეგ გამოიკვეთა ოთხი საკითხი, რომლებზეც ევროკომისიას სურს პროგრესის ხილვა მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლომდე.[36]

კობახიძის თქმით:

1) მმართველი პარტიის დეპუტატები ჩააგდებდნენ დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის ამჟამინდელ ვერსიას და ამ პრიორიტეტის შესახებ სამოქმედო გეგმა ვენეციის კომისიას გადაეგზავნებოდა.[37]

2) საპარლამენტო უმრავლესობა გეგმავდა კანონის მომზადებას საერთო სასამართლოების შესახებ, რომელიც ასევე გადაეგზავნებოდა ვენეციის კომისიას.[38]

---

[29] „საქართველოში ვიზიტის წინ ბორელი გაფართოების ვადების დადგენას ემხრობა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 5 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/557817, განახლებულია: 12.10.2023.

[30] „მიშელი: მზად უნდა ვიყოთ, ორივე მხრიდან, 2030 წლის გაფართოებისთვის“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 28 აგვისტო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32568088.html, განახლებულია: 12.10.2023.

[31] იქვე.

[32] „რა ჩამოიტანა და რა წაიღო ჟოზეფ ბორელმა საქართველოდან“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bjsx2, განახლებულია: 12.10.2023.

[33] „ჯოზეფ ბორელი საქართველოში შეხვედრებს მართავს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/558387, განახლებულია: 12.10.2023.

[34] „რა ჩამოიტანა და რა წაიღო ჟოზეფ ბორელმა საქართველოდან“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bjsx2, განახლებულია: 12.10.2023.

[35] „ჯოზეფ ბორელი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 8 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/jozef-boreli-arasamtavrobo-organizaciebis-warmomadgenlebs-shekhvda/, განახლებულია: 12.10.2023.

[36] „ქართული ოცნება“ ევროკომისიის პირობების შესასრულებლად ღონისძიებებს გეგმავს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 19 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/559774, განახლებულია: 12.10.2023.

[37] იქვე.

[38] იქვე.

3) პარლამენტი პირველი მოსმენით განიხილავდა და მიიღებდა „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტს, რომელიც ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების არჩევის საკითხს შეეხებოდა.[39] ეს კანონპროექტიც გაიგზავნებოდა ვენეციის კომისიაში.[40]

4) ვენეციის კომისიაში გაიგზავნებოდა ასევე ანტიკორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დაფუძნებასთან დაკავშირებული კანონმდებლობები.[41]

3. პოლიტიკური პარტიები „გირჩი – მეტი თავისუფლება“ და „დროა“ წინასაარჩევნო გაერთიანებას ქმნიან

6 სექტემბერს ოპოზიციურმა პარტიებმა „გირჩი – მეტი თავისუფლება” და „დროა” საარჩევნო გაერთიანების შექმნის შესახებ ოფიციალურად განაცხადეს.[42] პარტიების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გაერთიანება საერთო პრინციპებს დაეფუძნა, როგორებიც არის: „ნულოვანი თანამშრომლობა რუსულ რეჟიმთან; მომავლის მკაფიო ხედვა; მოტივაცია, შეიცვალოს საბჭოთა, ერთპარტიული სისტემა თანამედროვე, დასავლური ტიპის, კოალიციური მმართველობით“.[43]

4. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ნიკა მელიას საქმეზე დარღვევა არ დაადგინა

7 სექტემბერს გამოქვეყნდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი თავმჯდომარის, ნიკა მელიას საქმეზე.[44] საქმე 2019 წლის 20 ივნისს, ე.წ. „გავრილოვის ღამეს“ ნიკა მელიას დაკავებას ეხებოდა.[45] განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ორი მუხლი, კერძოდ, მე-5 მუხლი - თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და მე-18 მუხლი - უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები.[46] მელიას აზრით, მის მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენება იყო გაუმართლებელი და მიზნად ისახავდა პოლიტიკური ცხოვრებისგან მის ჩამოშორებას.[47] სტრასბურგის სასამართლომ განმცხადებლის არგუმენტები არ მიიჩნია საკმარისად იმის დასადგენად, რომ ნიკა მელიას პატიმრობა ემსახურებოდა მიზანს, რომელიც კონვენციით არ იყო გათვალისწინებული.[48]

---

[39] იქვე.
[40] იქვე.
[41] იქვე.
[42] „გირჩი – მეტი თავისუფლება“ და „დროა“ საარჩევნო გაერთიანებას ქმნიან“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 6 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/558021, განახლებულია: 12.10.2023.
[43] იქვე.
[44] „სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე „მელია საქართველოს წინააღმდეგ” დარღვევა არ დაადგინა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 7 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/558178, განახლებულია: 12.10.2023.
[45] იქვე.
[46] იქვე.
[47] იქვე.
[48] იქვე.

5. თბილისის საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატს თავს დაესხნენ

22 სექტემბერს ფიზიკურად გაუსწორდნენ საკრებულოს წევრს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ირაკლი ეძგვერაძეს.[49] თავდასხმა საკრებულოს დეპუტატის სახლის მახლობლად მოხდა და მასში ათობით პირი მონაწილეობდა. ეძგვერაძე თავდასხმას თბილისის საკრებულოში მის საქმიანობას, კერძოდ, საკრებულოს სხდომის დროს „ქართული ოცნების“ წევრ კოტე ზარნაძესთან შეკამათებას უკავშირებს.[50]

ინციდენტს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება მოჰყვა, რის შემდეგაც პოლიციამ ნაციონალური მოძრაობის წევრები ნიკა მელია, ბაჩო დოლიძე და ზვიად კუპრავა დააკავა.[51] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ადგილზე (ირაკლი ეძგვერაძის სახლთან) მისულ სამართალდამცველებს იქ მყოფმა პირებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, მათ პოლიციელებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელი შეუშალეს და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამას მოჰყვა პოლიციის რეაგირება და 3 პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დააკავა.[52]

დაკავებულთა სასამართლო პროცესი 23 ოქტომბრამდე გადაიდო და სამივე მათგანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.[53]

პოლიციის განმარტებით, ეძგვერაძეზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილით დაიწყო, რაც ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.[54] 24 სექტემბერს საქართველოს პროკურატურამ ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ფაქტზე 6 პირს ბრალდება წარუდგინა.

6. ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების არჩევის წესი კვლავ იცვლება

19 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები პირველი მოსმენით მიიღო.[55] ცვლილების მიხედვით, ცესკოს თავმჯდომარის ან წევრის თანამდებობაზე 5 წლის ვადით ასარჩევად, ნაცვლად მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული 76 ხმისა, საჭირო იქნება პარლამენტის წევრთა საერთო შემადგენლობის 3/5-ის მხარდაჭერა (90 ხმა). იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი ამ მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს, საკითხი კენჭისყრაზე გავა და კანდიდატის არჩევა საერთო შემადგენლობის უმრავლესობას შეეძლება. თუ 76 ხმაც ვერ მოგროვდება, მომდევნო სხდომაზე კვლავ დადგება საკითხი კენჭისყრაზე, სადაც შესაძლებელი იქნება, განმეორებით, 76 ხმით მოიპოვოს კანდიდატმა პარლამენტის მხარდაჭერა. ხოლო, თუ კონკრეტული კანდიდატის ასარჩევად საჭირო ხმების კონსოლიდირება კვლავ ვერ მოხერხდება, ქვეყნის

---

[49] „ნაციონალური მოძრაობიდან საკრებულოს წევრი სცემეს, პარტიის კიდევ სამი წევრი დაკავებულია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 22 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/560638, განახლებულია: 12.10.2023.

[50] იქვე.

[51] იქვე.

[52] „შსს ადასტურებს ნიკა მელიას, ბაჩო დოლიძის და ზვიად კუპრავას დაკავებას“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2023 წლის 22 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32605286.html, განახლებულია: 12.10.2023.

[53] „ნაციონალური მოძრაობის დაკავებული წევრები გაათავისუფლეს, პროცესი გადაიდო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2023 წლის 24 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/560704, განახლებულია: 12.10.2023.

[54] იქვე.

[55] „პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილება პირველი მოსმენით მიიღო“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებგვერდი, 2023 წლის 19 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/saarchevno-kodeqsshi-cvlileba-parlamentma-pirveli-mosmenit-miigho/, განახლებულია: 12.10.2023.

პრეზიდენტი კონკურსში მონაწილე პირებიდან თავისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ხუთი წლის ვადით დანიშნავს ცესკოს თავმჯდომარეს ან წევრს.[56]

ცესკოს დაკომპლექტების 2023 წლის 13 ივნისამდე მოქმედი წესი, რომელიც „შარლ მიშელის შეთანხმების“ სულისკვეთებით იყო მიღებული,[57] ითვალისწინებდა ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების კანდიდატურაზე შეთანხმებას საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის, რაც იმას გულისხმობდა, რომ მმართველ პარტიას დამოუკიდებლად, 76 ხმით, კანდიდატების მხოლოდ 6 თვით არჩევა შეეძლო, შემდეგ კი ისევ უნდა გამოცხადებულიყო კონკურსი.[58] კანდიდატების შესარჩევ საკონკურსო კომისიას საქართველოს პრეზიდენტი ქმნიდა და შერჩეულ კანდიდატებსაც ის წარუდგენდა პარლამენტს.[59]

[56] იქვე.
[57] „სამომავლო გზა საქართველოსთვის“ (არაოფიციალური თარგმანი), გვ. 4, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DTGuvW, განახლებულია: 12.10.2023.
[58] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლი, 2021 წლის 28 ივნისიდან მოქმედი რედაქცია.
[59] იქვე.